გოლიათის

თავგადასავალი



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CENN
Shaping the Future by Changing Today

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს CENN ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

პროექტის მიზანია სოციალურად დაუცველი მრავალეთნიკური თემების ჯანმრთელობის დაცვისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, დისკრიმინაციის თავიდან აცილება, წყალთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და WaSH სტანდარტების დამკვიდრება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზით.

ზღაპრის ავტორი: თეა თოფურია
ილუსტრაციების ავტორი: ნიცა ჭაბაშვილი
რედაქტორი: ლიანა ახობაძე
დიზაინერი: ეკა ტაბლიაშვილი

თბილისი - 2019

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CENN
Shaping the Future by Changing Today

WaSH (Water, Sanitation and Hygiene) ზოგადი ტერმინია და აერთიანებს **წყალმომარაგებას, სანიტარიას და ჰიგიენას.** ეს სამი ძირითადი სფერო ურთი-ერთდაკავშირებულია, შესაბამისად, მოქცეულია ერთ მზარდ დარგში. იმის მიუხედავად, რომ ყოველი მათგანი ცალკე საქმიანობის სფეროა, მისი დამოკიდებულება დანარჩენ ორზე ძალიან დიდია. მაგალითად, ტუალეტების გარეშე წყალი დაბინძურდება, ხოლო სუფთა წყლის გარეშე წარმოუდგენელია ელემენტარული ჰიგიენური პროცედურები.

რატომ WASH?

- იმიტომ რომ 1.1 მილიარდ ადამიანს არ აქვს სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა და 2.4 მილიარდი ადამიანი განიცდის არაადეკვატურ სანიტარულ პირობებს. ხალხთან წყლის, სანიტარიის და ჰიგიენის მიტანა არის პირველი ნაბიჯი ადამიანის ღირსეული ცხოვრებისკენ და უზარმაზარი ნახტომი სიღარიბის ციკლის დასაძლევად.

- იმიტომ რომ 200 მილიონი სკოლის ასაკის ბავშვი დაავადებულია პარაზიტებით და ტრემატოდებით (ჭიებით). წყალთან და სანიტარიასთან დაკავშირებული დაავადებები ბავშვებში იწვევს ფიზიკური და გონებრივი განვითარების ჩამორჩენას, რაც ბავშვის სწავლის უნარზე აისახება. ცუდი ან არარსებული სანიტარული პრობლემების გამო, გოგოები სკოლებში ვერ დადიან.

„უსაფრთხო სასმელი წყალი
არ არის ქველმოქმედება,
არამედ კანონიერი/იურიდიული უფლება,
რომლის ცენტრშიც დგას ადამიანის არსი,
მისი პიროვნული ღირსება“

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2010წ.

ერთხელ ერთმა გოლიათმა გადაწყვიტა, ადამიანებს დამსგავსებოდა.
- რა უნდა ვქნა, რომ ველური არ ვიყო? - ჰკითხა სოფლის ბრძენს.
- ვერაფერს იზამ, - უპასუხა ბრძენმა, - იმასაც კი ვერ მოახერხებ, ხეირიანად ხელები დაიბანო.
 - ახლავე წავალ და ვიბანავებ, - თქვა გაბრაზებულმა გოლიათმა და ზღვას მიაშურა.



ზღვაში ჩაწვა თუ არა, გემები თავდაყირა გადაბრუნ-
დნენ. ვეშაპმა კი ძლივს მოასწრო მის თითებს შუა
გამსხლტარიყო.
- აი, ჰო ვიბანავე, - უთხრა საღამოს ბრძენს.
- ჰო, მაგრამ ქვეყანა ფლოტის გარეშე დარჩა.
გოლიათი დასევდიანდა.

- ბანაობის გარეშე არ შეიძლება?
- არა, ყველა, ვინც ველური არ არის, დღეში ერთხელ მაინც ბანაობს და დღეში ასჯერ ხელებს იბანს. თუ არ დაიბან, ავად გახდები, გოლიათებისთვის კი საავადმყოფო არა გვაქვს.
ხელები უნდა დაიბანო, როცა გაიღვიძებ,
როცა საპირფარეშოდან გამოხვალ,
როცა გაცივებული იქნები, ჭამის წინ და ჭამის მერე,
ძილის წინ, ეზოში თამაშის მერე, იატაკზე თამაშის მერე...
მოკლედ, სადაც ონკანს დაინახავ, ხელები უნდა დაიბანო, შენ კი ონკანის ნიჟარაში თითიც არ ჩაგეტევა.





- სამაგიეროდ, მდინარე მაქვს, - თქვა გოლიათმა და მდინარეს მიაშურა.
- იცი, რა მოხდა დღეს სოფელში? - ჰკითხა ბრძენ-მა მეორე დღეს. ყველა სახლის ონკანიდან მღვრიე წყალი მოდიოდა და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ შენ მდინარეში ტალახიანი ხელები დაიბანე. წყალი ონკანებში მდინარიდან მოდის.
- ეგ მე რა ვიცოდი, მეგონა, ჩემსავით ჩანჩქერიდან სვამდით წყალს.
- ჰო, როგორ არა, ჩაის ასადუღებლადაც ჩანჩქერიდან მოგვაქვს წყალი.



- ანუ მდინარეში ხელებს ვერ დავიბან?
- ვერა! და თუ ადამიანივით შენც სახლში გინდა, იცხოვ-
რო, სახლიც, ეზოც, ბაღიც და, საერთოდ, ყველაფერი
სუფთად უნდა გქონდეს. ტანსაცმელიც სუფთა უნდა გეცვ-
ას, ხშირად რეცხო, თან - სუფთა წყალში. წყალს რაშიც
შეაგროვებ, ისიც უნდა გარეცხო, მერე წყალი ჩაასხა...
მერე თავი დაახურო, რომ შიგ არაფერი ჩავარდეს.
- რა უნდა ჩავარდეს?
- თუნდაც კიდევ ერთი ფეთხუმი გოლიათი, რომელიც
შენთან მოვა სტუმრად.

გოლიათი ჩაფიქრდა. დიდხანს ფიქრობდა.
მერე ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, ადგა და
გადაიკარგა.
დღეს რომ იკითხო, გოლიათები სად ცხოვრობენო,
გეტყვიან, რომ ისინი საერთოდ არ არსებობენ. მაგრამ
ეს სიმართლე არ იქნება.
სიმართლე მე ვიცი.

ჩვენი გოლიათი სხვა, გაცილებით დიდ, პლანეტაზე გადასახლდა. იქ უზარმაზარი ოკეანის პირას უზარ-მაზარი სახლი აიშენა და ბედნიერად ცხოვრობს. ხელებსაც იბანს, თავადაც ბანაობს და საღამოობით ჩაიდანსაც შემოდგამს ხოლმე ჩაისთვის.



ამას წინათ ციდან მეტეორი რომ ჩამოვარდა, სინამ-
დვილეში სწორედ მისი ჩაიდანი იყო. სახელური ზომაზე
მეტად გასცხელებოდა და ხელიდან გაუვარდა.
თანდათანობით მას სხვა გოლიათებმაც მიჰბაძეს.



სათითაოდ გაიკრიფნენ სხვა პლანეტაზე და სწორედ
ამიტომაც ახლა დედამიწაზე გოლიათს ვერსად
მოჰკრავთ თვალს.
მაგრამ კარგ ამინდში ზევით თუ აიხედავთ, დაინახავთ!
ზოგი ისეთი დიდია, აქედანაც კი ჩანს.





შეავსეთ კროსვორდი:

ჰორიზონტალურად

4. დაასრულეთ: ს..... წყალი მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის
6. გოლიათმა დახმარება სთხოვა...
7. WaSH-ის შემადგენელი კომპონენტი

ვერტიკალურად

1. ნივთიერება, რომელიც ყველა ცოცხალს სჭირდება
2. დაასრულეთ: “წყალი ადამიანის ...”
3. მისი დაცვა მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის.
5. ზღაპრის პერსონაჟის სახელ

გ	ჰ	ქ	ტ	ი	ბ	ა	ბ	დ	ტ	მ
ა	მ	ფ	უ	ს	გ	ვ	ფ	გ	ჰ	დ
ხ	ფ	დ	წ	ს	ს	ფ	ა	დ	ი	ი
ე	დ	წ	ყ	ა	რ	ო	დ	ბ	გ	ნ
ლ	ვ	ს	ა	ნ	ი	ტ	ა	რ	ი	ა
ე	უ	ფ	ლ	ე	ბ	ა	ა	ძ	ე	რ
ბ	ტ	თ	ი	ფ	ჰ	ც	უ	ე	ნ	ე
ი	გ	ო	ლ	ი	ა	თ	ი	ნ	ა	დ
დ	ტ	დ	ვ	ე	ლ	უ	ჰ	ი	ფ	ს

იპოვეთ სიტყვები:

წყალი	უფლება	წყარო
სანიტარია	გოლიათი	მდინარე
ჰიგიენა	ჩაიდანი	ბრძენი

გოლიათების პლანეტაზე ახლად შექმნილი სკოლა ცდილობს მათ მიერ მოხმარებული წყალი დაზოგოს.

გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ფაქტები და დაეხმარე გოლიათებს გამოთვლებში

ფაქტები წყალზე:

- სკოლას ჰყავს 120 მოსწავლე და 6 მასწავლებელი;
- უნიტაზის ჩარეცხვას სჭირდება 9 ლიტრი წყალი;
- ჰიპო ჩანთები ამცირებს ჩასარეცხი წყლის რაოდენობას 6 ლიტრამდე;
- ვოშიკო მასწავლებელს ჰყავს 26 მოსწავლე მეორე კლასში;
- სააბაზანოს სჭირდება 80 ლიტრი წყალი;
- 5 წუთიანი შხაპის დროს იხარჯება 35 ლიტრი წყალი;
- თითოეული გოლიათი იყენებს 150 ლიტრ წყალს

1. თუ ყველა მოსწავლე გოლიათი 2-ჯერ გამოიყენებს და ჩარეცხავს უნიტაზს, რამდენ ლიტრ წყალს დახარჯავენ:

ა) 1 დღეში .....

ბ) 5 დღეში .....

2. სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა რომ დააყენოს ჰიპო ჩანთები სკოლის ყველა ტუალეტში. თუ ყველა მოსწავლე გოლიათი გამოიყენებს და ჩარეცხავს ტუალეტს 3-ჯერ დღეში, რამდენ ლიტრი წყალი დაიხარჯება:

ა) 1 დღეში .....

3. რამდენ ლიტრ წყალს დაზოგავს ჰიპო ჩანთა:

ა) 1 დღეში .....

ბ) 2 დღეში .....

4. ვოშიკო მასწავლებლის კლასში ონკანი გაფუჭდა, რის გამოც ის საათში 0,5 ლიტრ წყალს კარგავს. რამდენი ლიტრი წყალი იხარჯება

ა) 1 დღეში .....

ბ) 5 დღეში .....

5. ყველა მოსწავლე, რომელიც ვოშიკო მასწავლებლის კლასში სწავლობს, ყოველ საღამო აბაზანას მოიხმარს. რამდენი ლიტრ წყალს ხარჯავენ ყოველდღურად ვოშიკო მასწავლებლის მოსწავლეები?

.....

6. მას შემდეგ, რაც ჩვენმა გოლიათმა ვოშიკო მასწავლებლის მოსწავლეებს წყლის დაზოგვის შესახებ უამბო, მათ გადაწყვიტეს აბაზანის მაგირვად, შხაპი მიიღონ. თუ ვოშიკო მასწავლებლის ყველა მოსწავლე ახლა აბაზანის მაგივრად, 5 წუთიან შხაპს იღებს, რამდენ ლიტრ წყალს ზოგავენ ისინი ყოველღიურად?

.....

cenn.org
environment.cenn.org
დაგვიმეგობრდი: ThinkNaturally